

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარსადგენი  
ავტორეფერატის გაფორმების  
ინსტრუქცია

**მოცულობა:** ავტორეფერატის მოცულობა ინგლისური რეზიუმეს ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს ორ ნაბეჭდ თაბახს (32 გვერდს); აღნიშნულ რაოდენობაში იგულისხმება ყველა გვერდი.

**ენა:** ავტორეფერატი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე და უნდა დაერთოს ინგლისური რეზიუმე (მოცულობა – 500- 800 სიტყვა).

**სტრუქტურა:** ავტორეფერატის სატიტულო ფურცელი უნდა გაფორმდეს დანართი 1-ის შესაბამისად. ავტორეფერატში ასახული უნდა იყოს: თემის აქტუალურობა, სამუშაოს მიზანი, კვლევის ობიექტი და მეთოდები, ნაშრომის ძირითადი შედეგები და სიახლე, შედეგების გამოყენების სფერო, ცნობები დისერტაციის მოცულობისა და სტრუქტურის შესახებ, დისერტაციის ძირითადი შედეგები თავების მიხედვით და ზოგადი დასკვნები; ავტორეფერატი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ნაშრომის აპრობაციის შესახებ (მოხსენებები კონფერენციებზე, ფორუმებზე, სიმპოზიუმებზე, სემინარებზე), აგრეთვე გამოქვეყნებული ნაშრომების, პატენტების და საავტორო მოწმობების სიას, რომელთა შინაარსი შეესაბამება დისერტაციის თემატიკას და შედის სადისერტაციო ნაშრომში.

**ფურცლის ზომა:** ავტორეფერატი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) ფურცელზე, 80 გ/მ<sup>2</sup> სიმკვრივის ქაღალდზე. ორიენტაცია – ვერტიკალური.

**მინდორი:** მარცხენა მხარე – 38 მმ, დანარჩენი მხარეები – 25 მმ.

**შრიფტი:** ტექსტის ძირითადი ნაწილი უნდა შესრულდეს რომელიმე სტანდარტული შრიფტით (სასურველია შემდეგი შრიფტები: Sylfaen, AcadNusx, AcadMtav, Litnusx, Literaturuli\_BJG\_2000), ზომით 12. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს ლაზერულ პრინტერზე ან სხვა საბეჭდი საშუალებით, რომელიც ანალოგიურ ხარისხს უზრუნველყოფს.

**თავებისა და ქვეთავების დასახელებები:** თავებისა და ქვეთავების დასახელების შრიფტის ზომა შეიძლება აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომას. ქვეთავი უნდა გაგრძელდეს იმავე გვერდიდან; დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება.

**გვერდების ნუმერაცია:** ყველა გვერდი, გარდა სატიტულო ფურცლისა, უნდა იქნეს დანომრილი თანამიმდევრობით. გვერდები ინომრება ქვედა კიდეზე ცენტრში, არაბული ციფრებით. ნომრის შრიფტის ზომა უნდა იყოს 10.

**სტრიქონებს შორის მანძილი:** ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი უნდა იყოს 1,5.

**სატიტულო ფურცელი** უნდა გაფორმდეს დანართი 1-ის შესაბამისად. იგი უნდა მოიცავდეს ტექსტს: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ხელნაწერის უფლებით, დოქტორანტის სახელი და გვარი, დისერტაციის დასახელება,

წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ავტორეფერატი, სადოქტორო პროგრამის დასახელება, შიფრი კლასიფიკატორის მიხედვით, თბილისი, წელი (დანართი 1).

**მეორე გვერდი** უნდა გაფორმდეს დანართი 2-ის შესაბამისად. მასზე უნდა განთავსდეს: დაწესებულების და სტრუქტურული (ორგანიზაციული) ერთეულის დასახელება, სადაც შესრულდა ნაშრომი, ხელმძღვანელი, რეცენზენტები, რომელ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე შედგება დისერტაციის დაცვა, დისერტაციის დაცვის დრო (წელი, თვე, რიცხვი, საათი) და ადგილი (მისამართი, კორპუსისა და აუდიტორიის ნომერი). დისერტაციის დაცვის დრო და ადგილი ჩაიწერება ხელით. ბოლოს ხელს აწერს სადისერტაციო საბჭოს მდივანი (დანართი 2).

დანართი 1.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

სახელი, გვარი

დისერტაციის სათაური

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ავტორ ე ფ ე რ ა ტ ი

სადოქტორო პროგრამა -----

შიფრი-----

თბილისი

..... წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში

----- ფაკულტეტი

----- დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: -----

რეცენზენტები: -----

-----

დაცვა შედგება ----- წლის "-----" -----, ----- საათზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის -----

----- საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე

კორპუსი -----, აუდიტორია -----

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,

ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი -----